MES 7 20 0000655086

03/08/2020

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 2 აგვისტოს.**
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა, საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.authorization**
Joing Zoom Meeting
https://drive.google.com/drive/folders/1eA_Pla4xiTZ1DEYQjm3uRZJ8Qw4OfUuy?usp=sharing

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიულისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**ნანა ყუფუნია -** მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი ( საბჭოს თავმჯდომარე);
**გიორგი ხიშტოვანი** - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
**მარიამ ჩაგელიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ( საბჭოს მდივანი);
**ნინო კაკულია** - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
**შორენა ჯაფარიძე -** პროფესიული განათლების ექსპერტი;
**ანა საბახტარიშვილი -** ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი;
**გიორგი ტრაპაიძე -** სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

**სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:**

**კახაბერ ერაძე** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ლანა გაჩეჩილაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების კოორდინატორი;
**ნინოს ტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

**საგანმანათლებლოდაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი
ცისკარა ზარანდია - პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

**სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“**

თეანა ქუხილავა - კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ მანია - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი

**სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“**
კარლო კერვალიშვილი - კოლეჯის დირექტორი
ეკატერინე პატიეშვილი - დირექტორის მოადგილე
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი -

**სსიპ -კოლეჯი „ფაზისი“**
ნინო ბაკურაძე - კოლეჯის დირექტორი
სოფიო ტურავა - იურისტი
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი**

სალომე ცხადაძე - დირექტორის მოადგილე
თეა ლილუაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

**ექსპერტები:**
ქეთევან ბოტკოველი
თამილა გრძელიშვილი
ინგა ბოჭოიძე

პაატა ცაგარეიშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
ნანა შარაბიძე
ზაირა ბერიძე
ირმა ღარიბაშვილი
თამარ ახალაძე
თამარ რემიშვილი
გივი დოლიძე
ნანა ხითარიშვილი
ალინა კუპრავა
დავით გუდაძე
ლევან მადათოვი
ქეთევან გელაშვილი
ვანო ოთხოზორია
ნინო ხაჩიძე
ვალერი ჯაჯანიძე

საბჭოს სხდომა 2 აგვისტოს დაიწყო 10:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**დღის წესრიგი**

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
4. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „კედლის დაფარვის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
10. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
11. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
13. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
14. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
15. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების“ (ნოჯიხევი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

**1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

წარმდგენი: ქეთევან ბოტკოველი, თამილა გრძელიშვილი, ინგა ბოჭოიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალაქ ახალციხეში ვიზიტი განხორციელდა “საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტთა ინფორმაციით, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების დასაბუთება ეყრდნობოდა მოკვლევას, რომლის ფარგლებში დაწესებულების მიერ გამოიკითხნენ სტუდენტები, ასევე გაანალიზდა ქვეყანაში ექთნების დეფიციტის თაობაზე სააგენტოს მონაცემები, ექიმებისა და ექთნების თანაფარდობის პარამეტრები, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. ამ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. დაწესებულებას გააჩნია პროგრამების შემუშავების წესი და მეთოდოლოგია, პროგრამა მომზადებული და დამტკიცებლია რეგულაციის შესაბამისად, უზრუნველყოფილია მატერიალური და ადამიანური რესურსით, სრულადაა საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. პროგრამას არა აქვს არჩევითი მოდულები. სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს. პრაქტიკული კომპონენტი გატანილია ევექსის კლინიკაში და კლინკაში „სიცოცხლის ხე“. მოდულებს ახორციელებს 5 მასწავლებელი, პრაქტიკული მოდულების განმახორციელებლები არიან პრაქტიკოსები, კლინიკაში დასაქმებული ექთნები, თუმცა, ექსპერტთა რეკომენდაციით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ესაჭიროებათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის გაძლიერება. პროგრამის ხელძღვანელია მოქმედი მეან-გინეკოლოგი. სასწავლო გეგმა ოპტიმალურადაა აწყობილი, შეფასების სისტემა სანდო, გამჭვირვალეა, ვერიფიკაციის მექანიზმი განაზღვრულია შესაბამისი წესით, ექსპერტთა შეფასება პროგრამის სტანდარტის ფარგლებში არის - სრულად შეესაბამება. მხოლოდ 2.4. კომპონენტია მეტწილად შეფასებული, დაწესებულების თვითშეფასებაც ანალოგიურია. ექსპერტთა პრეზენტაციას თან ახლდა ფოტომასალა. დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ შეხვდნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, ადასტურებს, რომ ევექსის კლინიკას აქვს ყველა ის მიმართულება, რომლებიც პროგრამის მოდულებითა განაზღვრული, კლინიკა „სიცოცხლის ხეს“ მხოლოდ მეან -გინეკოლოგია აქვს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად შესაბამება კლინიკის პროფილი და ხელშეკრულება განსახორციელებელ მოდულებს, არის თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოდულის განხორციელების შესაძლებლობა. განსაკუთრებით, ფსიქიატრიის, პედიატრიის, მეანობის კლინიკური მოდულების. მოითხოვა ხელშეკრულების გავლა, გასუბრების შედეგების მოსმენა. პრეზენტაციაში ჩაერთო ინგა ბოჭოიძე, რომელმაც ბრძანა, რომ ხელშეკრულებაში ასახულია ყველა მოდულის განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის პედიატრიის და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვის მოდულების. შინმოვლის მოდულის განხორციელება ხდება დაწესებულებაში, რისთვისაც საჭირო აღჭურვილობა სრულადაა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მაღალი კვალიფიკაცია გამოჩნდა ვიზიტის დროს, მათ გაცემული რეკომენდაციები ძალიან წაადგება დაწესებულებას მომავალშიც. ეს პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პროგრამაა, მედიცინის პროგრამის განხორციელების გამოცდილება დაწესებულებას აქვს, პროგრამის ხელმძღვანელი ძალიან კომპეტენური და გამოცდილია, კლინიკური მოდულების განხორციელებასთან დაკავშირებით ბევრ იმუშავეს, პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე მჭიდრო კომუნიკაცია არსებობდა კლინიკებთან. მთელს სამხცხე-ჯავახეთის მხარეში მხოლოდ ევექსის კლინიკას აქვს ფსიქო-ნევროლოგიური განყოფილება ძალიან გამოცდილი ექიმებით. რაც შეეხება შინმოვლის მოდულს, „სიცოცხლის ხეშიც“ იყო შესაძლებელი ამ მოდულის განხორციელება, თუმცა დაწესებულებამ შეიძინა ყველა აღჭურვილობა, რაც სჭირდებოდა შინმოვლის მოდულის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ვერ ჩაერევა სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირების საკითხებში, ვერ გამოიკვლევს კლინიკების პროფილს, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სრულყოფილი ხელშეკრულება და ექსპერტების მიერ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობების დეტალური ასახვა დასკვნაში.
აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. საბჭო ეთანმება ექსპერტთა დასკვნას და არ ცვლის შეფასებებს. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**

წარმდგენი: ქეთევან ბოტკოველი, პაატა ცაგარეიშვილი, ინგა ბოჭოიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალაქ ახალქალაქში ვიზიტი განხორციელდა “საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
წარმოდგენილი პროგრამა მეხუთე დონის პროგრამაა, პროგრამის განხორციელების მიზაშეწონილება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ახალქალაქში არის საბაჟო ტერმინალი, რომელთანაც ხელშეკრულება აქვს დაწესებულებას გაფორმებლი, ასევე, თანამშრომლობენ შემოსავლების სამსახურთან, რომელიც ამ დრომდე ასაქმებს მხოლოდ უმაღლესი განათლების პირებს, თუმცა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების ბევრი საშუალება ექნებათ. დაწესებულებას აქვს ტრანსპორტი, ახალციხიდან ახალქალაქში გადასაადგილებლად, ასევე, ახალქალაქში არსებობს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. დარგის ექსპერტის ინფორმაცით 2 დასახელების აღჭურვილობა არ ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა პრაქტიკის ობიექტზე შეიძლებოდა ამ ინვენტარის ნახვა.
დარგის ექპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს რეკომენდაცია მისცეს პროგრამაში ძველი კანონმდებლობის ახლით შეცვლის თაობაზე, თუმცა ყველა მასწავლებელი მოქმედი პრაქტიკოსია და სწავლების პრობლემა არ არსებობს.
კახაბერ ერაძე დაინტერესდა, მხოლოდ შემოსავლების სამსახურთან ხომ არ ჰქონდა უნივერსიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ კერძო ტერმინალებთანაც აქვთ ხელშეკრულებები, ასევე, საინტერესოა, რატომ არ შეცვალა პროგრამის ხელმძღვანელმა კანონმდებლობის ნორმები პროგრამაში, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ჩარჩო დოკუმენტში/პროგრამაში ჩარჩენილი იყო ძველი კანონმდებლობა, პროგრამის ხელმძღვანელი პრაქტიკოსია, ცვლილებების თაობაზე მუდმივად საქმის კურსშია , მაგრამ შესაძლოა ვერ შეამჩნია ამ ეტაპზე პროგრამაში არსებული ხარვეზი ,
თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ერთხელ კიდევ გამოიკვეთა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელების სწორად შერჩევა და მათი განვითარება.
ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
ექსპერტებმა ძირითადად განმავითარებელი რეკომენდაციები გასცეს.
აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბაჟო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საბაჟო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**3. სსიპ - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

წარმდგენი: ქეთევან ბოტკოველი, ალექსანდრე კეკენაძე, ინგა ბოჭოიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
პროგრამის განხოციელების დასაბუთებაში ასახულია , რომ უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაქათულენოვანი სტუდენტების ინტეგრაციას, ეს არის ერთ-ერთი პროგრამა, რომლის შესწავლის დიდი ინტერესი აქვს არაქართულენოვან მოსახლეობას, ვიზიტი იყო ონლაინ, განხორციელდა ინტერვიუირება განმახორციელებლებთან, დარგობრივი ადამიანური და მატერიალური რესურსი უნივერსიტეტს გააჩნია.
მხოლოდ ინტეგრირებულ მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგია", არა აქვთ აღჭურვილობა, მაგრამ აქვთ მემორანდუმი საჯარო სკოლასთან ქიმიის ლაბორატორიის გამოყენების თაობაზე, ექსერტებმა 2.2. კომპონენტში მისცეს მეტწილი შესაბამისობა, მიაჩნიათ, რომ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ლაბორატორიის ადგილზე მოწყობა.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ დაწესებულება შეიძენს ლაბორატორიის აღჭურვილობას, იქნება თუ არა საჭირო ისევ სკოლასთან ხელშეკრულება, რაზეც მიიღო პასუხი, რომ არ იქნება ამის საჭიროება.
საბჭოს თავმდომარემ აღნიშნა, რომ საჭიროა უნივერსიტეტმა გამოძებნოს რესურსი ინტეგრირებული მოდულების სასწავლო გარემოს აღჭურვისათვის.
ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები" ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა უნივერსიტეტმა მოახდინოს სწავლის დაწყებამდე, რამდენადაც მოდულით გათვალისწინებულია ლაბორატორიის მუდმივი გამოყენება და სასურველია უნივერსიტეტს საკუთრებაში ჰქონდეს მოთხოვნილი რესურსი.

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების და განსაკუთრებით ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების შემდგომ

გადამზადებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მათ არ გაუვლიათ სპეციალური ტრენინგები და ექსპერტთა შეფასებით, საჭიროებენ სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების მიმართულებით განვითარებას.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის დაწყებამდე დასრულდება შესყიდვა, რადგან უფლება მიიღეს ტენდერის გარეშე შეისყიდონ, ამდენად, მონიტორიგი შეიძლება ჩაინიშნოს 2020 წლის 2 ოქტომბერს ვიზიტით. .

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 3).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.
**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 2 ოქტომბერს ვიზიტით.**

**4. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის" „კულინარიის ხელოვნების" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**
წარმდგენი: ნანა შარაბიძე, ზაირა ბერიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის

თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნანა შარაბიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა “კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ნანა შარაბიძემ განაცხადა, რომ წინა ვიზიტის ფაგლებში გაცემული რეკომენდაციები სრულადაა გათვალისწინებული. საგამანათლებლო სივრცე მოწყობილია, 15 სტუდენტისთვის გარემოს მოწყობა გრძლდება, ივლისში გაფორმებულია ხელშკრულება აღჭურვილობის შეძენის თაობაზე. პრატიკული კომპნენტი სრულად ხორიელდება კოლეჯში, მხოლოდ გაცნობითი პრაქტიკაა კომპანიაში დაგეგმილი, ქალაქ ზუგდიდში, ტრანსპორტირებას უზრნველყოფს კოლეჯი, დასუფთავების მოდულის განხორციელება მოხდება ასევე ზუგდიდის სასტუმრო-რესტორნებში, ტრანსპორტირებას მოახდენს კოლეჯი. 2.2. კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილია გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედითაც 25 დეკემბრამდე დასრულდება აღჭურვილობის შეძენა და კოლეჯში დამონტაჟება, მანამდე მხოლოდ თეორიულ მოდულებს გაივლიან. დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებას აქამდე არ განუხორციელებია კულინარიის ხელოვნების პროგრამა, ჰქონდათ ელემენტარული აღჭურვილობა მზარეულის პროგრამისთვს, პირელი 12 კვირის განმავლობაში გაცნობითი პრაქტიკით და ინფო ტურებით შეავსებენ სასწავლო განრიგს. სამზარეულოს ტექნოლოგიების მოდულის განხორციელების პირველი 2 კვირის განმავლობაში თეორიული შედეგები იქნება გავლილი, თუმცა ყურადღებას საჭიროებს, ტენდერის მიმდინარეობა. სამი პედაგოგი ჰყავთ შერჩეული განმახორციელებლად, სამივე კვალიფიციურია, მოქმედი პრაქტიკოსები არიან, ერთ-ერთი - შეფ მზარეულია, ამავე დროს პედაგოგიური გამოცდილებაც აქვთ, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 30 სტუდენტი, 2 ჯგუფი.
დაწესებულების წამომადგენელმა აღნიშნა, რომ ტენდერი უკვე გამოცხადებულია.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, რამდენად დაემთხვა დაწესებულების თვითშეფასება ექსპერტების შეფასებას, რაზეც ნანა შარაბიძემ უპასუხა, რომ დაემთხა სრულად.

ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია:
კომპონენტი 2.2.1.1 - გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადებში (25 დეკემბერი 2020 წელი), უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის დარჩენილი ნაწილის შესყიდვა, რათა საფრთხე არ შეექმნას პროგრამაზე სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით წარმართვას.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის“ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 25 დეკემბრამდეა შესყიდის ხელშკრულება, ამდენად, მონიტორიგი შეიძლება ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას" (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კულინარიის ხელოვნების" საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართ ი 4).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.**

**5. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის" „მეხილეობის" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**

წარმდგენი: ირმა ღარიბაშვილი, თამარ ახალაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ირმა ღარიბაშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში" დისტანციური ვიზიტი განხორციელდა „მეხილეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ირმა ღარიბაშვილმა ანიშნა, რომ დაწესებულების თვითშეფასება და ექსპეტთა შეფასება სრულად დაეთხვა ერთმანეთს და იყო მეტწილი.
წარმოდგენილია „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება", სადაც განმარტებულია, რომ დაწესებულებამ ჩაატარა კვლევები. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ გამოიკითხა შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების მენეჯერები, რომელთაც გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი და შესაძლებლობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 15-მდე

საჯარო სკოლის 170 მოსწავლე (8-12 კლასი), წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 9 თემის ხელმძღვანელი პირი, რომელთაც დაწესებულებას მიაწოდეს ინფორმაცია საკუთარ თემში მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, ასევე გამოიკითხა გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი პირი, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია მის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების მოსწავლეების საორიენტაციო შეხედულებებზე პროფესიების შესახებ. აღნიშნული კვლევების საფუძველზე გამოკითხულთა 61% მოთხოვნად პროფესიად დაასახელა მეხილეობა. დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით. დათვალიერებულიქნა ა,ბ,ც გარემო, ც გარემო რეალური სამუშო გარემოა, რომელიც იძლევა საშუალებას პრაქტიკული შედეგები მიღწეოდეს კომპანიებში, თუმცა ზოგი შედეგი კომპანიებში ვერ მიიღწევა, დაწესებულების წამომადგენლის ინფორმაციით, კოლეჯს მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა 2400 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც განახორციელებენ ისეთ შედეგებს, რომლებიც ვერ მიიღწევა კომპანიებში.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომკოლეჯმა გადმოაგზავნა სწავლის ის შედეგები, რომელსაც განახორციელებენ ამ ნაკვეთზე. პროგრამა მოიცავს მეხილეობის სხვადასხვა მიმართულებას, დარგის ექსპერტი თვლის, რომ ამ ეტაპზე არ არის მოწყობილ ისეთი გარემო, რომელიც იძლევა შესაძლებლობას , შეუფერხებლად განხორციელდეს პროგრამა.
შორენა ჯაფარიძე დაიტერესდა, რამდენად აქვთ მასწავლებლებს შესაბამისი კვალიფიკაცია, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ერთი განმახორციელებელი თვითონ პარტნიორი კომპანიის ხელმძღვანელია, სხვა კომანიებში გამოყოფილი იქნებიან ინსტრუქტორები, რომლებიც განახორციელბენ სტუდენტებზე ზედამხედველობას მთელი პრაქტიკის განმავლობაში, თუმცა კოლეჯს არა აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გამოჩნდება რეალური გარემოს გაუმჯობესების განრიგი, კომპანიები რასაც ფარავს, პრობლემა არ არის, დანარჩენის შესრულების გარანტიები ჯერ არ ჩანს, კოლეჯს არა აქვს განსაზღვრული, რა შედეგები შეიძლება მიიღწეოდეს კოლეჯის ბაზაზე. რაზეც კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაკვეთზე მოეწყობა სანერგე და მებოსტნეობის მოდულის შესაბამისი სასწავლო გარემო.
ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.2.1. (1). სასურველია, კოლეჯმა მოახდინოს იმ მოდულების სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომლის სწავლებაც იგეგმება კოლეჯის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.
გაუმჯობესების რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.1.1. (3). სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" გარკვეული უზუსტობების გამორიცხვის მიზნით. კერძოდ, რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2.
კომპონენტი 2.2.1. (7). სასურველია ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორდეს უზუსტობა.
კომპონენტი 2.2.1. (1). „მეხილეობის" პროგრამის 23 სავალდებულო მოდულს ახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია კოლეჯმა დაიმატოს კიდევ ერთი განმახორციელებელი პირი, ორცვლიანი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით.
კომპონენტი 2.4.1. (5). სასურველია შპს „გემუანთან" გაწერილი ხელშეკრულება გაფორმდეს ერთ წელზე მეტი ვადით, მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადის დასრულებამდე.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის" „მეხილეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის

ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 15 იანვარი შეიძლება იყოს ეს თარიღი. ამდენად, საბჭომ ჩათვალა, რომ მონიტორიგი შეიძლება ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.
საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, 2.4. კომპონენტში სრული შესაბამისობა შეიცვალოს მეტწილი შესაბამისობით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას" (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ მეხილეობის" საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.**

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ განმარტა თავისი უარყოფითი გადაწყვეტილება, აღნიშნა, რომ ვერ ხედავს მზაობას და ხედვას, თუ როგორ მოხდება კოლეჯის მიერ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენება პროგრამის მიზნებისთვის.

**6. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის" „იატაკისა და ფილის სამუშაოების" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**

წარმდგენი: თამარ რემიშვილი, გივი დოლიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ რემიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში" დისტანციური ვიზიტი განხორციელდა „იატაკისა და ფილის სამუშაოების"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის მიზნით ამ პროგრამისთვისაც ჩატარებული იქნა მოკვლევე, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, რაც ადასტურებს, რომ გამოკითხულთა 65% მოთხოვნად და მათთვის საინტერესო პროფესიად ასახელებს „იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებას.“
სასწავლო გარემოს დათვალიერებამ ცხადჰყო, რომ პროგრამისთვის „C“ გარემო არ არის მოწყობილი, ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიმოწერა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, მაგრამ ვიზიტის დროს თანხაც არ იყო ჯერ ჩარიცხული. დაწესებულებამ 2.2. კომპონენტის ფარგლებში ექსპერტებს წარუდგინა გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვითაც 25 დეკემბრამდე დასრულდება მატერიალური აღჭურვილობის შეძენისა და კოლეჯში განთავსების პროცესი, თუმცა როცა არ არის ჯერ კიდევ თანხა კოლეჯის ანგარიშზე, ანუ გეგმა არ არის რესურსებით უზრუნველყოფილი, ექსპერტებს უჭირთ დაეთანხმონ გაწერილ ვადებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე ჩარიცხულია თანხა, გამარტივებული ტენდერი ჩატარებულია და ხელშეკრულებაც არსებობს.

ექსპერტთა მიერ კოლეჯს დამატებით მიეცა რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.4.1-6 - შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში.
კომპონენტი 2.4.2-4 - სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდეგომი განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მეტწილ შესაბამისობაზე ვაფიქსირებთ ისეთ მდგომარეობას, როცა სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად არსებობს რესურსებით უზრუნველყოფილი გაუმჯობესების გეგმა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 15 იანვარი სავსებით მისაღებია. ამდენად, საბჭომ ჩათვალა,რომ მონიტორიგი შეიძლება ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.
საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ 2.4. კომპონენტში სრული შესაბამისობა შეიცვალოს მეტწილი შესაბამისობით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას" (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ იატაკის და ფილის სამუშაოების" საგანმანათლებლო პროგრამა **(დ ანართი 6).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.
**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.**

**7. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის" „კედლის დაფარვის სამუშაოების" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა**
წარმდგენი: თამარ რემიშვილი, გივი დოლიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ რემიშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში" ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად "კედლის დაფარვის სამუშაოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ამ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში ფიგურირებს, რომ სამშენებლო მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულები საქმდებიან ძირითადად თვითდასაქმებით და ეს მაჩვენებელი შეადგენს 85%.
საბჭოს თავმჯდომარემ ერთხელ კიდევ შეახსენა ექსპერტებს, რომ ყველა ინფორმაცია, რაც ეხება კვლევას, სტატისტიკას, დაზუსტდეს ციფრებით. ექსპერტებს ალბათ გაუჭირდებათ ისაუბრონ, რამდენად გამართული მეთოდოლოგიით ატარებს კოლეჯი კვლევას, თუმცა ამ მიმართულებით დაწესებულებებს სჭირდებათ რეკომენდაციები, სწორად განვითარება.

გიორგი ხიშტოვანმა კითხვა დაუსვა დაწესებულების ხელმძღვანელს, როგორი მეთოდოლოგიით მოხდა სტუდენტთა გამოკითხვა, რაზეც დაწესებულების ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ კითხვარში იყო კოლეჯის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც მონიშნავდნენ გამოკითხული მე-8 - მე-12 კლასელი მოსწავლეები. მათ შორის დასახელებული იყო სხვა პროგრამებიც. კვლევა ჩატარდა როგორც

ჯვარის, ასევე გალის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის, მით უმეტეს, რომ კოლეჯი უკვე აშენებს საერთო საცხოვრებელს და მათაც მიეცემათ ჯვარის კოლეჯში სწავლის შესაძლებლობა.

გიორგი ხიშტოვანის რჩევაა, რომ გამოკითხვის დროს, სასურველია, უფრო სანდო კითხვარით მოხდეს მოსწავლეთა გამოკითხვა, ისეთი კითხვარი უნდა მოამზადოთ, რომელიც უფრო ზუსტ სტატისტიკას უზრუნველყოფს, ან მიმართოთ კომპეტენტურ ორგანიზაციებს, ვინც დაგეხმარებათ კითხვების ფორმულირებაში, დაამატა მან.

ექსპერტმა რეკომენდაციებზე შეაჩერა ყურადღება, დარგის ექსპერტის რეკომენდაციით, დაწესებულებამ შეცვალა პროგრამის სახელწოდება, დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ კედლის დაფარვის სამუშაოები მოიცავს სამ კონცენტრაციას, მისი რეკომენდაცია იყო, რომ დაზუსტდეს სახელწოდებაში ის კონცენტრაცია, რომელიც არჩეული ჰქონდა დაწესებულებას, რათა აპლიკანტისთვისაც, პროფესიული სტუდენტებისთვისაც უფრო გასაგები ყოფილიყო მათი მომავალი კვალიფიკაცია და დასაქმების შესაძლებლობები. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, შეცვალა პროგრამის სახელწოდება და განსაზღვრა - „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)".
ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია:
კომპონენტი 2.2.1.-1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ.
კომპონენტი 2.4.1.-6 - ექსპერტთა შეფასებით, A და B გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის" „კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 15 იანვარი რეალური თარიღია. ამდენად, საბჭომ ჩათვალა, რომ მონიტორიგი შეიძლება ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.
საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია 2.4. კომპონენტში სრული შესაბამისობა შეიცვალოს მეტწილი შესაბამისობით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას“ (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.
**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2021 წლის 15 იანვარს ვიზიტით.**

**სხდომის მიმდინარეობაში ჩაერთო მინისტრის მოადგილე, ქალბატონი თამარ ქიტიაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბჭოს, დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, საკითხების დეტალური განხილვისა და ლოგიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, კოლეჯებში მიმდინარე პროცესების გაზიარებისთვის, განსაკუთრებით, ინტეგრირებული მოდულების შემცველი საშუალო პროფესიული პროგრამების დამატების საკითხში თანამდგომისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სისტემისთვის, გამოთქვა იმედი, რომ გაანალიზდება საბჭოს სხდომების ფარგლებში მიღწეული მიგნებები. განსაკუთრებით აღნიშნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დიდი დატვირთვა ბოლო 2 თვის პერიოდში და იქვე აღნიშნა, რომ ეს პროცესი მისცემს საშუალებას პროფესიული განათლების სისტემას ხარისხობრივად მაღალ ეტაპზე გადავიდეს.**

**კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ცენტრი გააანალიზებს პროცესებს, მიგნებებს და ანალიზს წარუდგენს სამინისტროს.**

**საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ მადლობა გადაუხადა მინისტრის მოადგილეს თანადგომისთვის, კოლეჯებს, ექსპერტებს, ცენტრს მათი კოორდინირებული ორგანიზებული საქმიანობისთვის და გამოთქვა მზაობა, რომ მათი მხრიდან გაანალიზდება ეს პროცესი, თითოეული კერძო შემთხვევა, რაც საერო მიგნებების ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს საბჭოს, ცენტრს, სამინისტროს.**

**8. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**
წარმდგენი: ირმა ღარიბაშვილი, ნანა ხითარიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ირმა ღარიბაშვილის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა „საფინანსო სერვისების“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.2.1 (1) - სასურველია სწავლის დაწყებამდე შეძენილ იქნეს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
კომპონენტი 2.1.1. (3) - სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" გარკვეული უზუსტობების გამორიცხვის მიზნით. კერძოდ: რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2.
კომპონენტი 2.2.1.(5) - სასურველია „საფინანსო სერვისების" პროგრამის შემდეგ მოდულებში - "ნაღდი ანგარიშწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება", „სადეპოზიტო მომსახურეობა", „სალარო ოპერაციების განხორციელება", „უნაღდო ანგარიშწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება", „სწრაფი ფულადი გზავნილები" პსდ-მ დაამატოს თემატიკის შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.
კომპონენტი 2.2.1. (7) - სასურველია ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორდეს უზუსტობა.
კომპონენტი 2.4.1. (1) - სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, შედეგის განმეორებითი დადასტურების შემთხვევაში დაზუსტდეს განმეორებითი შეფასების ჩატარების ვადები.
კომპონენტი 2.4.1. (5) - სასურველია პრაქტიკის ყველა ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში განისაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა ის რაოდენობა რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს.
კომპონენტი 2.4.1. (5). სასურველია პრაქტიკის ყველა ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში განისაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა ის რაოდენობა რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს.
2.4. კომპონენტის ფარგლებში გაცემულმა რეკომენდაციებმა განაპირობა ამ კომპონენტის მეტწილი შესაბამისობით შეფასება.
ექსპერტების მიერ მოხდა ვიზუალურად ა და ბ გარემოს დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა მეწილად შეესაბამება სტანდარტს, გადამოწმდა ადამიანური რესურსი, 'დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ადამიანური რესურსი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები არიან შერჩეულები. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის გაუმჯობესების გეგმა, ხელშეკრულებაა გაფორმებული 7 ივლისს, სადაც აღჭურვილობის მოწოდების ვადაცაა მითითებული - 25 ოქტომბერი , ექსპერტებს, მათ შორის დარგის ექსპერტს, ხელშეკრულებაში განსაზღვრული აღჭურვილობის კოლეჯში განთავსების შემდეგ, შესაძლებლად მიაჩნიათ პროგრამის სრულყოფილად განხორციელება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფულის დეტექტორი უკვე შეძენილია, რამდენიმე დასახელებაა დარჩენილი, რომელიც ვადაში იქნება მოწოდებული.
შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, როგორ გადაადგილდებიან სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებამდე, რომელთაგანაც ზოგიერთი ობიექტი ზუგდიდშია, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის" „საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 25 ოქტომბერი მისაღები თარიღია.

ამდენად, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 ოქტომბერს ვიზიტით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას“ (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 8).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 ოქტომბერს ვიზიტით.**

**9. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**
წარმდგენი: ალინა კუპრავა, ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ალინა კუპრავას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

პროგრამის განხორციელების დასაბუთებაში კოლეჯს მითითებული აქვს, რომ ეს პროგრამა სკოლებში არის ძალიან პოპულარული, ზუგდიდში მდებარე პარტნიორი კომპანიებიც აფიქსირებენ, რომ სჭირდებათ სპეციალისტები.
პროგრამების შეფასების დროს მიმდინარეობდა ტენდერი, ივნისში და ივლისში გაფორმებული ხელშეკრულებებით, დარგის მიმართულებით შესაძენი აღჭურვილობის შეტანა დაწესებულებაში უნდა მოხდეს 25 სექტემბრამდე. ასევე, შესაძენია ინტეგრირებული მოდულებისათვის საჭირო აღჭურვილობა. მთლიანობაში სტანდარტში ექსპერტთა შეფასებაა - მეტწილი, რისი საფუძველიცაა 2.2. კომპონენტში მეტწილი შესაბამისობა, ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვითაც 6 თვეში ყველაფრის შესყიდვა დასრულდება, ამდენად, ექსპერტებმა მონიშნეს მეტწილი შესაბამისობა.

დარგის ექსპერტის შეფასებით, თუ აღჭურვილობა არ იქნება შესყიდული სწავლის დაწყებამდე, ვერ დაიწყებენ მოდულების გავლას, სასურველია, დაწესებულებამ საბჭოს მოახსენოს ახლანდელი მდგომარეობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 20 ივლისს გაფორმებული დამატებითი შეთანხმებით ინტეგრირებული მოდულების აღჭურვილობა 11 აგვისტომდე იქნება მოწოდებული, რაც შეეხება დარგობრივს, პროგრამისთვის აუცილებელი აღჭურვილობის შესაძენად ტენდერი დასრულებულია, ხელშეკრულება გაფორმებული, 25 სექტემბრამდე მიწოდებული იქნება დაწესებულებაში.

გაიცა რეკომენდაცია 2.2.5. კომპონენტში - სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, იმისათვის, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა გაიარონ გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისაღებია 2020 წლის 25 სექტემბერი. ამდენად, საბჭომ მიზანშწონილად თვლის მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 სექტემბერს ვიზიტით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას“ (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 9).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.
**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 სექტემბერს ვიზიტით.**

**10. სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**
წარმდგენი: ალინა კუპრავა, დავით გუდაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ალინა კუპრავას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ ვიზიტი განხორციელდა „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ პროგრამის განხორციელების დიდი გამოცდილება აქვს კოლეჯს, პროგრამა ხორციელდება კოლეჯში 2014 წლიდან, დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე ეს არის მეოთხე დონის პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, თუმცა იკვეთება შესაბამისი მოდულების მატერიალური აღჭურვილობის შეძენის აუცილებლობა.
დარგის ექსპერტი ადასტურებს, რომ პროგრამის დასაწყებად კოლეჯში არსებული ც სასწავლო გარემო არის სავსებით საკმარისი, თუმცა, დარგის მიმართულებითაც საჭიროა დამატებითი შესყიდვები, რის თაობაზეც უკვე გაკეთებული აქვთ განაცხადი, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესყიდვის ხელშეკრულებას, რომელსაც ახლავს ელექტროობისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი, ხელშეკრულების მიხედვით, 25 სექტემბრამდე მოხდება მოწოდება, რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო რესურსის შეძენას, 11 ივლისს არსებობდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო აღჭურვილობა სრულად იქნება მოწოდებული 15 აგვისტომდე.

გაიცა რეკომენდაცია 2.2.5. კომპონენტში - სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, იმისათვის, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა გაიარონ გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ლაკადასათვის" „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მისაღებია 2020 წლის 25 სექტემბერი . ამდენად, მონიტორიგი შეიძლება ჩაინიშნოს 2020 წლის 25 სექტემბერს ვიზიტით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ლაკადას" (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **( დანართი 10).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.
**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 25 სექტემბერს ვიზიტით.**

**11. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის" „კულინარიის ხელოვნების" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**
წარმდგენი: ლევან მადათოვი, ზაირა ბერიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის

წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ლევან მადათოვის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსში" დისტანციური ვიზიტი განხორციელდა "კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია. 2.2. კომპონენტში მეტწილი შესამისობა დაფიქსრდა.

ექსპერტები თვლიან, რომ კონკრეტულად ამ პროგრამისთვის „ც" გარემო მოსაწყობია, როგორც აღნიშნეს, ტენდერი ამ ეტაპისთვის უკვე გამოცხადებულია, ტენდერის ვადაა 13 აგვისტო, ამ აღჭურვილობის შეძენის გარეშე პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. კოლეჯს აქვს გაუმჯობესების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფილია რესურსებით, არსებობს თანხები, შესაძენი აღჭურვილობის ჩამონათვალი, ადამიანური რესურსი კვალიფიციურია, რაც დოკუმენტაციით და გასაუბრებით დასტურდება, პროფესიულ განათლებაშიც აქვთ გამოცდილება, არანაირი რისკი ამ მხრივ არ არსებობს, თუმცა დაწესებულება გეგმავს პროფესიულ განათლებაში ახლად შემოსული ადამიანებისთვის ტრენინგს. პროგრამის ხელმძღვანელი ძალიან კვალიფიციურია, არის პრაქტიკოსი, გააზრებული აქვს მოდულების განხორციელების მიდგომები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მოსაზრებები მათთვის მნიშვნელოვანია, ამავე დროს, ამ პროგრამის განხორციელებას დიდი ხანია გეგმავენ, სამი წლის წინ გადაწყდა, რომ განახორციელებენ ამ პროგრამას, ეს წლები კოლეჯში მიმდინარეობდა სრული რეაბილიტაცია, ამიტომ ჰქონდათ დრო, რომ მოეძებნათ კვალიფიციური განმახორციელებლები, ყველა პროგრამა კარგადაა გააზრებული, ხშირ შემთხვევაში რესურსი მოიძიეს თბილისში, რუსთავში შესაბამის კადრის მოძიება არ მოხერხდა, ამ ადამიანებისთვის მისაღები და საინტერესო იყო კოლეჯის მიდგომები, ხედვები, პერსპექტივები. შესყიდვებს რაც შეეხება, 85% -ს სჭირდებოდა მთავრობის ნებართვა, 29 ივლისს მოვიდა ნებართვა, 31 ივლისს უკვე გამოცხადდა ტენდერი და 13 აგვისტოს იქნება გამარჯვებული. კოლეჯის ხელმძღვანელი გარკვეულ გარემოებებსაც იაზრებს, კოლეჯს აქვს ვალდებულება, 6 თვეში დაასრულოს აღჭურვა, თუმცა კორონა ვირუსით გამოწვეული გარემოებები მაინც არის გარკვეული შეფერხების საფუძველი, გარკვეული რისკი მაინც არსებობს, სწავლის დაწყებამდე შესაძლოა ვერ მოხდეს ყველაფრის მოწოდება, ამიტომ კოლეჯმის ადმინისტრაცია დაფიქრდება და შესაძლოა, წელს არ გამოაცხადოს პროფესიულ სტუდენტთა მიღება კულინარიის ხელოვნების პროგრამაზე, კიდევ ერთხელ შეაფასებენ ყველა რისკს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კიდევ რა მოტივაცია ჰქონდათ განმახორციელებლებს, არის თუ არა სტუდენტებისთვის ის პერსპექტივა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, მასწავლებლები მათ დაასაქმებენ თავიანთ კომპანიებში. რაზეც მიიღო პასუხი, რომ ასეთი პერსპექტივა ამ ეტაპისთვის ბუნდოვანია.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მოდუსისათვის" „კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2.

კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგი შეიძლება ჩაინიშნოს 2020 წლის 27 ნოემბერს.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 11).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 27 ნოემბერს ვიზიტით.**

ანა საბახტარიშვილმა, ხაზი გაუსვა, რომ საბჭოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულებების თვითშეფასება, მადლობა კარლო კერვალიშვილს, რომელმაც კარგი მაგალითი მისცა სხვა დაწესებულებებს იმით, რომ დაწესებულების თვითშეფასება იყო გონივრული და ობიექტური.

**საკითხის დასრულების შემდეგ, ანა საბახტარიშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.**

**12. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**
წარმდგენი: ლევან მადათოვი, ქეთევან გელაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ლევან მადათოვის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია :
კომპონენტი 2.2.1 (1) - პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული/დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული რესურსი (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა) შესყიდულ იქნას და განთავსდეს დაწესებულების ბაზაზე.
კომპონენტი 2.2.1 - საჭიროა , ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებმა გაიარონ გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში, რათა სრულყოფილად შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება.

პროგრამა უკვე ავტორიზებული აქვს კოლეჯს, ამ ეტაპზე მეტი ყურადღება გამახვილდა ინტეგრირებული მოდულების განხორციელების შესაძლებლობებზე. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ იცნობს ამ პროგრამას, გასულ წელს ავტორიზაციის დროს შეაფასა პროგრამა დადებითად, ამ ეტაპზე მხოლოდ ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაა რისკის ქვეშ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 31 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით 14 დასახელების აღჭურვილობა შემოვა კოლეჯში ინტეგრირებული მოდულებისთვის, დანარჩენზეც გაფორმებულია ხელშეკრულება, მაგრამ კორონასგან გამოწვეული შეფერხებების გამო დაგვიანდა მოწოდება, მომწოდებელმა ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტაცია წარმოადგინა შეფერხების მიზეზების გამო. თუმცა სწავლის დაწყებამდე აუცილებლად მოხდება მოწოდება.
აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მოდუსისათვის“ „მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, რომლის თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის მისაღებია 2020 წლის 2 ოქტომბერი. ამდენად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ მონიტორიგი უნდა ჩაინიშნოს 2020 წლის 2 ოქტომბერს ვიზიტით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს „მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 12).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 2 ოქტომბერს ვიზიტით.**

**13. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**
წარმდგენი: ალინა კუპრავა, ვანო ოთხოზორია

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ალინა კუპრავას განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ დისტანციური ვიზიტი განხორციელდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
გაიცა რიგი რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.4.2. - დაწესებულებამ გაწეროს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.
კომპონენტი 2.1.1 - „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულების განხორციელების მიდგომებში გაიწეროს სწავლის შედეგების მიღწევა ან ცალკეული აქტივობები, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე თუ მხოლოდ დაწესებულების სასწავლო გარემოში.
კომპონენტი 2.2.1. - ძირითადი დარგობრივი პროფესიული მოდულების ეფექტური განხორციელებისთვის უმჯობესია განახლდეს, დაწესებულების მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის აპარატურული მახასიათებლები, კერძოდ, ოპერატიული მეხსიერების მოცულობა არსებული 4 გიგაბაიტი გაიზარდოს 8 გიგაბაიტამდე, ხოლო ცენტრალური პროცესორი პარამეტრებით - 2 ფიზიკური ბირთვი და 4 ვირტუალური ბირთვი (ნაკადი), შეიცვალოს მინიმუმ 4 ფიზიკური ბირთვის პარამეტრების ცენტრალური პროცესორით.

ექსპერტთა ჯგუფის ინფორმაციით, პროგრამის დარგობრივი აღჭურვილობაც არ არის ადგილზე, რის პასუხად კოლეჯმა წარმოადგინა სამინისტროსთან მიმოწერა, რომლითაც თანხებიც ჩანს და ვადებიც, რის ფარგლებში უნდა განხორციელდეს შესყიდვები.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ განმახორციელებლების კვალიფიკაცია ეჭვის საფუძველს არ იძლევა, ყოველგვარ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, თუმცა, აპარატურის განახლების შემდეგ, აუცილებლად დადგება კადრების გადამზადების საკითხი.
2.4. კომპონენტში მეტწილი შესაბამისობაა. კოლეჯის ხარისხის სამსახურის მენეჯერმა განმარტა, რომ დისტანციურად ფუნქციონირების პერიოდში კოლეჯს ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა გაეუმჯობესებინა ეს კომპონენტი, ამიტომ, თვითშეფასებისას მეტწილი შესაბამისობა მიუთითა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორია მოემსახურება ორივე პროგრამას, ამდენად იგივე ვადებზეა საუბარი, რაც შეეხება დარგობრივ აღჭურვილობას, ექსპერტების რეკომენდაციებიც იყო და დაწესებულება ისედაც გეგმავდა შესყიდვებს, თუმცა მხოლოდ ნაწილი აღჭურვილობის შემოტანაზე გაფორმდა 28 ივლისს მიღება-ჩაბარების აქტი, მეორე ტენდერი ჩავარდა, 2 აპარატურის შესაძენად ხელახალი ტენდერი გამოცხადდა და დასრულდება 6 და 12 აგვისტოს. ამდენად, დაწესებულებაში 2.2. კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის აუცილებლობა არსებობს.

ასევე, დაწესებულება ითხოვს პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 15-ით, მათ შორის 15 სტუდენტი - ინტეგრირებული სასწავლო გეგმისათვის.
აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მოდუსისათვის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებით განხორციელების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭო მიზანშეწონილად თვლის, 2.2. კომპონენტის ნაწილში ჩაინიშნოს მონიტორინგი, თარიღთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთვის მისაღებია 2020 წლის 2 ოქტომბერი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს" (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 13).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**მონიტორიგი ჩაინიშნოს 2020 წლის 2 ოქტომბერს ვიზიტით.**

**14. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის" „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**
წარმდგენი: ნინო ხაჩიძე, ვალერი ჯაჯანიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო ხაჩიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში" ქალაქ ფოთში ვიზიტი განხორციელდა **„მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტების ინფორმაციით, დაწესებულება წლების განმავლობაში ახორციელებდა ამ მიმართულების პროგრამებს, ამდენად არსებობს გამოცდილება, ადამიანური და მატერიალური რესურსი, პარტნიორი კომპანიები ( ძირითადად ინდმეწარმეები, ერთი კომპანიაა - შპს როდეო), არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები. დაწესებულება მუდმივად ახორციელებს პროგრამის განხორციელების შეფასებას და ანლიზს. ექსპერტთა შეფასება თანხვედრაშია დაწესებულების თვითშეფასებასთან.

ექსპერტებმა საბჭოს გააცნეს მათ მიერ გაცემული ვრცელი რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1.1 - სასურველია დაწესებულებამ განაახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა.
კომპონენტი 2.2.1 - პროფესიული მოდულის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები" განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის სპეციალისტი, თუმცა სასურველია ინგლისური ენის მოდულის განმახორციელებელმა მოდული განახორციელოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირის/პროგრამის ხელმძღვანელის აქტიური კონსულტირებით, რადგან დარგობრივი ტერმინოლოგია მუდმივად ცვალებადია, ემატება ახალი ტერმინები და შესაბამისად, მათი სწავლება პროფესიული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია.
კომპონენტი 2.3.- დაწესებულების რეგულაციით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების

მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე ცენტრში წინადადებების ინიცირების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. კერძოდ: საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს).
გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები, სასურველია, მან მიმართოს ცენტრს დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. აქედან გამომდინარე, სასურველია აღნიშნული საკითხები იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.
კომპონენტი 2.4.1 - დაწესებულების მიერ სასწავლო გეგმის შემუშავებისას, სასურველია კონცენტრაციის მოდულებზე სწავლა არა პროგრამის ბოლოსკენ, არამედ უფრო ადრეულ კვირებში იწყებოდეს. პროგრამის პროფესიული მოდულები ძირითადად დაფუძნებულია თეორიაზე (შეფასების მიმართულება - გამოკითხვა), ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ჩადებულია კონცენტრაციის მოდულებში. შესაბამისად, სასურველია, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ზრუნვა პროგრამის პარალელურად ხორციელდებოდეს. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის მასწავლებლის მიერ, ან კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. მასწავლებელი/კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულებას შემუშავებული და ვებგვერდზე www.phazisi.edu.ge განთავსებული აქვს „სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების წესი“, რომელიც ასევე მოიცავს გასაჩვრების პროცედურას და ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის/შედეგების ვერდადასტურების შემთხვევა გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო გეგმაში. კერძოდ, წინმსწრები მოდულის დასრულებისა და მომდევნო მოდულის დაწყების თარიღებს შორის 1 კვირაა, რათა ამ პერიოდის განმავლობაში პროფესიულმა სტუდენტმა/სტუდენტებმა შეძლონ წინმსწრები მოდულის შედეგის/შედეგების დადასტურება. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშოს

განმეორებით შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. აღნიშნული შემთხვევის დადგომის დროს, ზემოაღნიშნული ვადების გათვალისწინებით, ერთკვირიან ინტერვალში განმეორებითი შეფასების ჩატარება შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ მოიცავს წინაპირობიან მოდულებს, სასურველია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ეს ორი რეგულაცია შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ან ერთი და იგივე პროცედურები/წესი ორ დოკუმენტში არ გაერთიანდეს და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციებით არ იყოს წარმოდგენილი. ამასთანავე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასების ჩატარება, ან/და გასაჩივრების პროცესის დასრულება დაწესებულების მიერ წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის განსაზღვრული ინტერვალის გათვალისწინებით.
კომპონენტი 2.4.2 -შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. - დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით იკვეთება შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებით სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობა, თუმცა სასურველია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რამდენჯერ ეძლევა სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული თუ ახალი).
სასურველია, ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობა, არსებული რესურსი და სხვადასხვა რისკ-ფაქტორები, შემუშავებული იყოს რისკების რეესტრი, რის საფუძველზეც მოხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს. ასევე, მნიშვნელოვანია, რეგულაციით მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირები, არ მოახდენენ იმავე ინსტრუმენტებით შექმნილ მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სასურველია დასრულდეს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით. სასურველია რეგულაციაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. ნაცვლად ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა, გაიწეროს ხარისხის მართვის მენეჯერი, რადგან შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯის სტრუქტურასთან. ასევე, გაიწეროს, რომ ვერიფიკაციის ჯგუფი ახდენს მტკიცებულებათა ვერიფიკაციას და არა ვალიდაციას.
დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დოკუმენტურადაც დასტურდება და გასაუბრებითაც. სწავლების გამოცდილებაც აქვთ, თუმცა ამ კომპანიებში არ არიან დასაქმებულები. ამ პროგრამის პრობლემაა მოძველებული საგანმანათლებლო რესურსი, თუმცა კოლეჯმა შეძლო ამ პრობლემის გამოსწორება, ასევე, მიაჩნია, რომ კოლეჯში უნდა იყოს მეტი მატერიალური რესურსი, რომ პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ადგილზე განხორციელდეს და არა ინდმეწარმეებთან. ამაზე უნდა იზრუნოს დაწესებულებამ.
პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობები, განსაკუთრებით საზეინკლო მოდულის განსახორციელებლად, არის მინიმალური, ამდენად, ამ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება იყოს მხოლოდ 14.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის შემდეგ გაითვალისწინეს ექსპერტთა რიგი რეკომენდაციები, თუმცა ზოგიერთის გათვალისწინებას ვერ შეძლებენ, ამავე დროს, უკვე გააფორმეს ხელშეკრულებები სხვა კომპანიებთან, ამდენად, საბჭოს სთხოვენ შუამდგომლობას, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროთ 18 სტუდენტით.
ექსპერტებიც დაეთანხმნენ და მიიჩნიეს, რომ დამატებითი ხელშეკრულებები იძლევა შესაძლებობას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 18-ით.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის" „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების" საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი ქალაქ ფოთში. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. მონიტორინგის ჩანიშვნის საჭიროება არ არის. საბჭოს მიაჩნია, რომ **2.4. კომპონენტში სრული შესაბამისობა უნდა შეიცვალოს მეტწილი შესაბამისობით.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ფაზისს" (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების" საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ფოთში **(დანართი 14).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**15. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის" „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების" (ნოჯიხევი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**
წარმდგენი: ნინო ხაჩიძე, ვალერი ჯაჯანიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო ხაჩიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში" სოფელ ნოჯიხევში ვიზიტი განხორციელდა **„მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების"** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები არის სავსებით ანალოგიური, რაც გაიცა ფოთში პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის შეფასების ფარგლებში.
დარგის ექსპერტის შეფასებით, პარტნიორ კომპანიების შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე **„მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების“** პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შესაძლოა განისაზღვროს 20 სტუდენტით.
აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭომ მიიჩნია, რომ **2.4. კომპონენტში სრული შესაბამისობა უნდა შეიცვალოს მეტწილი შესაბამისობით.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში **(დანართი 15).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**16. სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა**
წარმდგენი: ნინო ხაჩიძე, ვალერი ჯაჯანიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო ხაჩიძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ ვიზიტი განხორციელდა **„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“** პრო

ფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ხარვეზები არ გამოვლენილა .
არის მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა დაწვრილებით გააცნო საბჭოს წინა პრეზენტაციების დროს.

ექსპერტთა განცხადებით, წინა 2 პროგრამის ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია ძალაში რჩება, ამ პროგრამის ერთ-ერთი პარტნიორია „მათე მოტორსი“, რომელსაც აქვს ე.წ. “რაზვალის“ აპარატი, რომლის ბაზაზე შესაძლებელია მხოლოდ 12 პროფესიული სტუდენტის მიღება.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ფაზისისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები. საბჭომ მიიჩნია, რომ **2.4. კომპონენტში სრული შესაბამისობა უნდა შეიცვალოს მეტწილი შესაბამისობით.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 16).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 2 აგვისტო.

**17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

წარმდგენი: ნანი დალაქიშვილი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს აცნობა, რომ 2020 წლის 13 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის კორესპონდენცია (N596432), რითაც კოლეჯი ცენტრს აცნობებდა პროგრამა „ტელეეთერის დიზაინის“ სახელწოდების ცვლილებას. სამსახური ეთანხმება წარმოდგენილ ინიცირებას. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის "აუდიო-ვიზუალური ხელოვნება" სარეგისტრაციო ნომერი - 02118-პ, რომლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს პროგრამის დასრულების შემდეგ პირის დასაქმების სფეროებს და შესაძლებლობას. კერძოდ, "ტელეეთერის დიზაინში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კომპიუტერული თამაშების დიზაინერად, გრაფიკულ დიზაინერად, მულტიმედიის დიზაინერად, გამომცემლობის დიზაინერად". ასევე, ჩარჩო დოკუმენტის მე-8 პუნქტი აყალიბებს მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგებს:
ტელეეთერის დიზაინის მიმართულებისათვის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ობიექტის ესკიზი განათების, პროპორციების, ხასიათისა და პერსპექტივის დ ა ც ვ ი თ
2. შექმნას ვიდეორიგის კადრირება (სთორიბორდი)
3. იმუშაოს ვექტორულ გრაფიკაში პროგრამა illustrator--ის გამოყენებით
4. შეარჩიოს შრიფტი გრაფიკული მასალისთვის
5. დააბალანსოს და აგრეთვე დააკორექტიროს გამოსახულების ფერი
6. შექმნას 3D ფენები და სამგანზომილებიანი გრაფიკა პროგრამა After Effect- ში
7. მოახდინოს Cinema 4D პროექტების ინტეგრაცია პროგრამა After Effect- ში
8. გააერთიანოს რამდენიმე გამოსახულება ერთ კადრში პროგრამა After Effect- ში
9. ჩაწეროს და დაამონტაჟოს ხმა პროგრამა Adobe Audition-ის გამოყენებით
10. დაამონტაჟოს ვიდეო-სამონტაჟო პროგრამა Adobe Premiere- ის გამოყენებით
11. გააფორმოს სატელევიზიო პროდუქტი გრაფიკული ელემენტებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს "ტელეეთერის დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სახით - „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა“.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, ეთანხმება ამავე კორესპონდენციაში მოყვანილ მეორე ინიცირებას, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოიყვანის მიზნით "ფოტოგრაფიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციის კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ექვსნიშნა კოდი უნდა შეიცვალოს ოთხნიშნა კოდით - 0211.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №135 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი17).**

2 აგვისტოს საბჭოს სხდომა დასრულდა 18 : 25 საათზე

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

**დანართი 1**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №122 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 28 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საბაჟო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1032 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 14 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 93 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №122 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 28 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | 14 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 4**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 86 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 |

**დანართი 5**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მეხილეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 6**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | იატაკისა და ფილის სამუშაოები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 82 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 97 |

**დანართი 7**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

**დანართი 8**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |

**დანართი 9**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 10**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 127 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 157 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |

**დანართი 11**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი №4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |

**დანართი 12**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებაღეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი №4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 140 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 170 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

**დანართი 13**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი №4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 15 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 14**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0716 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 18 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 57 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 72 |

**დანართი 15**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0716 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნოჯიხევი |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 57 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 72 |

**დანართი 16**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0716 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 12 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

დანართი 17

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე/საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეპორტიორი (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია რეპორტიორობაში 0321 | 120 | 150 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |
| 2 | ტელე - რადიო წამყვანი (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ტელე-რადიოწამყვანობაში 0321 | 120 | 150 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |
| 3 | ვიდეომონტაჟი (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეომონტაჟში 0211 | 120 | 150 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |
| 4 | ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეო-საოპერატორო ხელოვნებაში 0211 | 120 | 150 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |
| 5 | სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ტელეეთერის დიზაინში 0211 | 120 | 150 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |
| 6 | ტელერეჟისურა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ტელერეჟისურაში 0211 | 120 | 150 | ქართული | 15 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |
| 7 | ფოტოგრაფია (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში 0211 | 43 | 73 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*